

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

2020-2021 სასწავლო წელს აცხადებს მსმენელთა მიღებას

პროფესიული მომზადების / პროფესიული გადამზადების

საგანმანათლებლო პროგრამებზე:

- თეატრალური კოსტუმის მკერავი
- თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის სპეციალისტი
- მხატვარ-გრიმიორი

პროფესიული გადამზადების პროგრამა

თეატრალური კოსტუმის მკერავი

პროგრამის ხელმძღვანელი: ანკა კალატოზიშვილი

პროგრამის შესახებ:

მსმენელები 34 კვირიან სასწავლო-პრაქტიკულ პროცესში დაეუფლებიან ქალისა და მამაკაცის თეატრალური კოსტუმის შექმნას, შეისწავლიან და შეიძენენ ამ ხელობისთვის საჭირო უნარებს. პროგრამა შედგება რამდენიმე ეტაპისგან (ნაციონალური სამოსი; რენესანსის ეპოქის სამოსი; როკოკო - ბაროკო; XIX-XX საუკუნის კოსტუმი, თეატრალურ-აბსტრაქტული კოსტუმი) და ყოველი ეტაპის დასრულებისას, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, მსმენელი წარმოადგენს მის მიერ შექმნილ სხვადასხვა ეპოქის ქალისა და მამაკაცის თეატრალურ კოსტუმს.

მიღების წინაპირობა:

- კერვის საფუძვლების ცოდნა;
- სამკერვალო ტექნიკის, თბურ-დანამვითი მოწყობილობების და მისი უსაფრთხოების წესების ცოდნა-გამოყენება;
- მასალასთან და თარგთან მუშაობის ზოგადი უნარ-ჩვევა;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

- გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით

მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:

- 10 მსმენელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირთიდ: profstudy@tafu.edu.ge

პროფესიული გადამზადების პროგრამა -

**თეატრალური კოსტუმის აქსესუარისა და ქვილთის
სპეციალისტი**

პროგრამის ხელმძღვანელი: ანკა კალატოზიშვილი

პროგრამის შესახებ:

მსმენელები 26 კვირიან სასწავლო-პრაქტიკულ პროცესში დაეუფლებიან თეატრისა და კინოს კოსტუმის აქსესუარებისა და ტექსტილის (ქვილთის) შექმნას, შეისწავლიან და შეიძენენ ამ ხელობისთვის საჭირო უნარებს. პროგრამა შედგება რამდენიმე ეტაპისაგან (ნაციონალური სამოსის აქსესუარი; რენესანსის ეპოქის სამოსის აქსესუარი; როკოკო - ბაროკო სტილის სამოსის აქსესუარი; XIX -XX საუკუნის კოსტუმის აქსესუარი; ქვილთის შექმნის ტექნიკის საფუძვლები; ტექსტილის ნიმუშების შექმნა - თავისუფალი გეომეტრია) და ყოველი ეტაპის დასრულებისას, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით, მსმენელი წარმოადგენს მის მიერ შექმნილ მამაკაცისა და ქალის კოსტუმის აქსესუარებსა და შექმნილი ტექსტილის ნიმუშებს.

მიღების წინაპირობა:

- კერვის საფუძვლების ცოდნა;
- სამკერვალო ტექნიკის, თბურ-დანამვითი მოწყობილობების და მისი უსაფრთხოების წესების ცოდნა-გამოყენება;
- მასალასთან და თარგთან მუშაობის ზოგადი უნარ-ჩვევა;

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

- გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით

მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:

- 10 მსმენელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირთიდ: profstudy@tafu.edu.ge

პროფესიული მომზადების პროგრამა - მხატვარ-გრიმიორი

პროგრამის ხელმძღვანელი: ანუკი მურვანიძე

პროგრამის შესახებ:

მხატვარ-გრიმიორის სპეციალობა სახელოვნებო სივრცეში ერთ-ერთ ყველაზე მოთხოვნად პროფესიებს მიეკუთვნება. იგი ძალზედ მნიშვნელოვანია თეატრსა და კინოში, ასევე ფოტო, სამოდელო და შოუბიზნესის სფეროში. 34 კვირიანი სასწავლო კურსი მოიცავს თეატრალური და კინო გრიმის რამდენიმე სეგმენტს (ასაკობრივი გრიმი, სპეც-ეფექტები, ბოდი-არტი, ზღაპრული გრიმი და სხვ.), რაც მსახიობთან/მოდელთან მუშაობის პროცესში პერსონაჟის შექმნას ისახავს მიზნად. სასწავლო კურსი, მეტწილად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული, რომელიც, აუცილებელი წესით, შემოქმედებით მიდგომასაც გულისხმობს. კურსის მსმენელებს მიეწოდებათ თეორიული ინფორმაცია მოდის/გრიმის ისტორიული საკითხების შესახებ, გაეცნობიან რეჟისორთან, მხატვართან, გამნათებელთან მუშაობის სპეციფიკას.

მიღების წინაპირობა:

- ხატვის და ძერწვის უნარები
- მაკიაჟის ცოდნა;
- ფერთა აღქმის უნარი;
- ადამიანთან ურთიერთობის და კომუნიკაციის უნარი.

აპლიკანტთა შერჩევის ფორმა:

- გასაუბრება-პროფესიის მოსინჯვის მეთოდით

მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე:

- 20 მსმენელი.

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: profstudy@tafu.edu.ge